ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N13

2023 წლის 25 იანვარი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზის“ დირექტორის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის საცურაო აუზის“ დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ამბროლაურის საცურაო აუზი

ბრატისლავა რაჩის ქ. №9

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„ამბროლაურის საცურაო აუზის“ დირექტორის ანგარიში

2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2022 წლის 3 იანვარს ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“ მუშაობას შეუდგა დამტკიცებული ბიუჯეტით, პროგრამით და წესდებით.

საშტატო შემადგენლობა განისაზღვრა 16 საშტატო ერთეულით.

წლის დასაწყისიდან მოქალაქეთა მიღება ვერ შევძელით იმ ტექნიკური ხარვეზების გამო, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა. ტექნიკური პერსონალის დახმარებით და ყველა თანამშრომლის ჩართულობით, შეძლებისდაგვარად მოვაგვარეთ არსებული პრობლემები, რამაც მკვეთრად გაზარდა სამეურნეო ხარჯი და დასჭირდა გარკვეული დრო. ჩავატარეთ სავალდებულო სანიტარული სამუშაოები; კერძოდ, მოვახდინეთ აუზის წყლის დაცლა-ავსება, დამუშავება წყლის გამწმენდი პრეპარატებით და შენობის დეზინფექცია.

მოქალაქეთა მიღება დავიწყეთ საანგარიშო წლის 20 ივნისიდან დახურულ და ღია აუზებზე.

აუზით მოსარგებლეებს, როგორც წესი, ჩაუტარდათ კანის გადამდებ დაავადებების და სხეულის ჰიგიენის სავალდებულო შემოწმება-დათვალიერება.

2022 წლის 22 სექტემბერს შევწყვიტეთ მოქალაქეთა მომსახურება, რადგან საკუთარი ძალებით ვეღარ შევძელით იმ ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება, რომელმაც ხელახლა იჩინა თავი და მკვეთრად გაზარდა კომუნალური ხარჯი.

საანგარიშო წელს განხორციელდა, მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ, 2021 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების მონიტორინგი; ყველა რეკომენდაცია და შენიშვნა გათვალისწინებულია.

გასულ წელს საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 11940 ლარი; მომსახურება გავუწიეთ 215 აბონენტს, 70 ერთჯერად შემომსვლელს, 160 ღია აუზით მოსარგებლეს და ერთ მოქალაქეს გაეწია მასაჟით მომსახურება.

ფინანსური ოპერაციებისა და 2022 წლის ხარჯების შესახებ ინფორმაცია ასახულია შესაბამის ცხრილებში.

აუზის დირექტორი დავით ყიფიანი

27.12.2022 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ამბროლაურის საცურაო აუზი

ბრატისლავა რაჩის ქ. №9

2022 წელს გაწეული მუშაობის
ფინანსური ანგარიში

2022 წლის 3 იანვრიდან ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი მუშაობს დამტკიცებული ბიუჯეტით, პროგრამით და წესდებით.

საშტატო შემადგენლობა განისაზღვრა 16 საშტატო ერთეულით. საკუთარი შემოსავლების თანხა 11 640 ლარია. გასული წლის ნაშთი 5318.29 ლარს შეადგენს. მოქალაქეთა მიღება, ტექნიკური ხარვეზის გამო, დავიწყეთ 20 ივნისიდან და შევწყვიტეთ 22 სექტემბერს. ამ პერიოდში მოვემსახურეთ 215 აბონენტს, 70-ერთჯერად შემომსვლელს, 160-ღია ბასეინით მოსარგებლეს და ერთ მოქალაქეს დასჭირდა მასაჟით მომსახურება

საანგარიშო პერიოდში შრომის ანაზღაურების ხარჯი შეადგენდა 90370.50 ლარს (სუბსიდია), ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით-122532.03 ლარს (სუბიდია და საკუთარი შემოსავლები). თვეების მიხედვით თანხების ხარჯვა მოცემულია შესაბამის ცხრილებში, რომელიც თან ახლავს.

ფინანსური მენეჯერი *ციცინო სოხაძე*

27.12.2022 წელი

(დანართი 1)

2022 წელი

ა.ა.ი.პ ამბროლაურის საცურაო აუზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური ანგარიშ-ფორმა					
შემოსავლის დასახელება	წლიური გეგმა	კვარტალური დაყოფა			
		საკუთარი შემოსავლები			
სხვა არაკლასიფიცირებული არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება; ეკ.კლ.მუხლი - 1.4.2.3.3		I	II	III	IV
გადასახდელები	**15 000**			**9000**	**6000**
ხარჯები	**15 000**			**9000**	**6000**
შრომის ანაზღაურება					
საქონელი და მომსახურება	**15 000**			**9000**	**6000**
მივლინებები					
ოფისის ხარჯები	**15 000**			**9000**	**6000**
სამედიცინო ხარჯები					
საოფისე ინვენტარის, შეძენისა და დამონტაჟების ხარჯები					
არაფინანსური აქტივები					
მომუშავეთა რიცხოვნობა	**16**				

დირექტორი დავითყიფიანი

ფინანსურ მენეჯერი ციცინოსოხაძე

(დანართი 2)

2022 წელი

ა.ა.ი.პ ამბროლაურის საცურაო აუზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური ანგარიშ-ფორმა					
დასახელება	წლიური გეგმა	კვარტალური დაყოფა			
		ს უ ბ ს ი დ ი ა			
შემოსულობები		I	II	III	IV
ადგილობრივი ბიუჯეტი დან შემოსული სახსრები	116 250	35 000	30 000	23 000	28250
გადასახდელები	116 250	35 000	30 000	23 000	28250
ხარჯები	116 250	35 000	30 000	23 000	28250
შრომის ანაზღაურება	90 720	22 680	22 680	22 680	22 680
საქონელი და მომსახურება	25 530	12 320	7320	320	5570
მივლინებები	600	200	200		200
ოფისის ხარჯები	24 930	12 120	7120	320	5370
სამედიცინო ხარჯები					
რბილი ინვენტარის, უნიფორმის, შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები					
სხვა ხარჯები (მოსაკრებელი)					
არაფინანსური აქტივები					
მომუშავეთა რიცხოვნობა	16				

დირექტორი დავით ყიფიანი

ფინანსური მენეჯერი ციცინო სოხაძე

თვე	იანვ.		თებერ.		მარტი		აპრილი		მაისი		ივნისი		შენიშვნა
	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	
ბუნებრივი აირი	1407.60		1529.50		1316.75		1461.65		1230.50				
ელ.ენერგია	210.62		197.51		182.81		225.96		185.05		187.29		
წყალი	10.13		13.50		10.13		30.38		27		205.88		
ინტერნეტი			66.40		66.74		66.40		66.40		66.40		
სამეურნეო საქონელი	350												
საოჯახო ტექნიკის მიმდინარე რემონტი	250								600				
საკანცელარიო ნივთები			80										
მივლინება			200										
ტრენინგის მომსახურების თანხა.					148								
ჰერბიციდების შეძენის ხარჯი.							62						
ხელფასი	7560		7270.50		7290		7290		7620		7620		
სულ სუბსიდია	ხარჯი-55105.10 ლარი;												
სულ შემოსავლები	6 თვეში შემოსავალი - 1420 ლარი; 34.56 ლარი გასული წლის ნაშთი.)												

დანართი 3

2022 წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის თანხების ბრუნვა (6 თვე).

დირექტორი დავით ყიფიანი

ფინანსური მენეჯერი ციცინო სოხაძე

თვე	ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი		შენიშვნა
	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	სუბ.	შემოს.	
ბუნებრივი აირი	4562.97		1440.78	**2742**			3111.90		578.22		996.36		
ელ.ენერგია	514.24			701.21	216	1187.06	520.95		54.01		114.74		
წყალი	219.38		479.25		542	106	148.50				16.88		
ინტერნეტი	66.79		67.09		66.40		66.40		66.40		66.40		
სამეურნეო საქონელი						280						210	
საოჯახო ტექნიკის მიმდინარე რემონტი		**710**				330						**140**	
მივლინება													
ხელფასი	7620		7620		7620		7620		7620		7620		
სულ სუბსიდია	ხარჯი-60770.66 ლარი; (სუბსიდიის ნაშთი-374.24 ლარი).												
სულ შემოსავლები	6 თვეში შემოსავალი - 10520 ლარი; (შემოსავლის ხარჯი-6656.27 ლარი; 5318.29 ლარი- გასული წლის ნაშთი.)												

დანართი 3

2022 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტის თანხების ბრუნვა (6 თვე).

დირექტორი დავით ყიფიანი

ფინანსური მენეჯერი ციცინო სოხაძე